David Akhlouri
https://orcid.org/0000-0002-1068-4042
Associated Professor, Gori State University

Michael Eristavi – The Final Lord of Karalet

(Abstract)

KEYWORDS: Georgia, Samachablo, Karalet, Michael Eristavi

Michael Eristavi was the last ruler of Karalet. A complex and multifaceted figure, he is presented here as a tragic historical character who achieved much: he sought to improve the economic conditions of his estates and the cultural life in the region through introducing developments from Europe to his homeland. Had it not been for Russia's annexation of Georgia – and the repressions that followed the loss of our independence – the 63-year-old lord of Karalet would probably have lived longer and done far more for his country, rather than being killed in 1924 – together with his only son – on the day of his daughter Nino's wedding to Ivane Makashvili.

The village of Karalet, in the Gori district, lies on the Inner Kartli plain. It is situated about eight kilometres north-west of Gori. The historical site of Nacharmagevi – known as the "king's lodge" and described as an excellent hunting ground by the Georgian scholar and historian Vakhushti Batonishvili – forms a north-west part of Karalet. From the beginning of the eighteenth century, and perhaps earlier, the Ksani Eristavis held estates and serfs in Karalet. A document dated 1703 shows that the woodland along the river belonged to the Ksani Eristavis above the

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Nakoshkari and Nepis Tskaro areas, whereas downstream it belonged to the Tumanishvilis and the people of Gori.

The lords of the Ksani valley who lived here made an important contribution to the development of Karalet, particularly to its economy and culture. Among the village's notable figures was Michael "Misha" Eristavi, the last lord of Karalet. He was the son of Revaz and Nino Eristavi. He was born in either 1861 or 1862, in the Eristavi family palace in Karalet. He received his primary education at a private boarding school and later studied at the Uman Agrotechnical School in central Ukraine, graduating with a first-class certificate.

After completing his studies in 1884 and returning home, Michael sought to apply his training and professional knowledge to develop agriculture in Karalet. Through business connections he established with various European countries, the young lord was able to cultivate a range of fruit tree varieties and vines on his estate lands. Michael Eristavi was the first to establish rootstock of American grape varieties in the Gori region and also to organise a seedling nursery. In Karalet, he cultivated both Georgian and foreign table-grape varieties and built up a varied collection of vine strains.

Michael Eristavi also laid the foundations for a major pomological garden in Georgia. Over an area of fifteen hectares, he planted all the introduced fruit tree varieties, importing seedlings and planting material from different European countries and thereby enriching Georgia's fruit-growing traditions. In his garden, rare rose varieties, lilacs, chrysanthemums, and dahlias all came into bloom.

In Karalet, Michael Eristavi installed a water-powered grain mill and oversaw the development of beekeeping; he kept bees in both villages of Karalet and Ghvareb. He consulted leading

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

specialists of his time to improve farming methods. He also took great care with livestock and poultry, raising Swiss-breed cattle in Karalet, with milk processed in Gori. He bred Tambov bacon pigs and reared Bronze turkeys, Kholmogory geese, and several breeds of chickens. Eristavi took part in numerous agricultural exhibitions; for one of his entries, he won a gold medal at an event organised by the Russian Public Society for Domestic Husbandry in Gori on 9 May 1913, in recognition of his Bronze turkey. His broad, productive work marked a new phase in Georgian agriculture.

Beyond agriculture, Michael Eristavi was active in public life. He served as the province's secretary. Admired for his kindness, the lord of Karalet – along with his benevolent, well-cultivated family – enjoyed great esteem among the peasants of Karalet. This favourable portrait of Michael Eristavi is supported by accounts from contemporaries and by the archival materials, museum exhibits, documents, and newspaper reports I gathered during my research.

Michael's wife, Elene, was a highly educated lady. She was the daughter of Major General Ivane Saginashvili. The Eristavi Palace in Karalet contained a substantial library with both Georgian and foreign literature. Elene regularly updated the collection and subscribed to new publications from abroad. Members of the Georgian aristocracy of the period used the library. In this way, the Eristavis helped establish a new cultural centre in Karalet and Gori. Representatives of the Georgian elite – writers, artists, and singers – regularly attended the salon evenings held in this literary setting. Elene Saginashvili was a musician and frequently performed works by Bach, Mozart, and Beethoven at these gatherings. The magnificent Eristavi Palace, built on a hill

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

in the centre of Karalet, was an artistic masterpiece in its own right.

At the beginning of the twentieth century, the village suffered severe trials as revolutionary unrest spread across Kartli, and Karalet became the epicentre of these events. In the final years of his life, Michael came to believe that the roaming units of the Red Army would bring nothing but harm to him and his family while they remained in Karalet. The peasants stood by him and protected their beloved lord as best they could. However, Michael was forced to leave Karalet and take refuge with his brother Shalva's family in Odzisi, East Georgia. Bloodthirsty executioners of the revolution pursued him and later brought him back from Odzisi in his own carriage to carry out their sentence. Michael's son Revaz was only twenty years old and in his second year at the Faculty of Agronomy; he accompanied his father. In 1924 near Kodistskaro, father and son were treacherously killed – one more among the many unlawful executions that followed the Georgian uprising led by Kakutsa Cholokashvili against Russian annexation in 1921.

After the death of her husband and son, Elene Saginashvili moved to Tbilisi with her daughters – Ekaterine, Nino, and Rusudan Eristavi – to live with her sister, Barbara Saginashvili-Makashvili.

It is said that Galaktion Tabidze dedicated his remarkable poem, "Do you recall or not the days of Karalet…", to the eldest daughter of the Eristavis, Doctor of Biological Sciences Ekaterine Eristavi. It is a tragedy that the magnificent palace of the Karalet Eristavis is now dilapidated and in ruins. Restoring and maintaining it, and preserving Michael Eristavi's name, would be a truly significant national task.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დავით ახლოური
https://orcid.org/0000-0002-1068-4042
ასოცირებული პროფესორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიხეილ ერისთავი – კარალეთის უკანასკნელი მებატონე

საკვანძო სიტყვები: კარალეთი, შიდა ქართლი, ვახუშტი ბატონიშვილ, ლიახვი, ნაჭარმაგევი,

გორის მუნიციპალიტეტის სოფელი კარალეთი შიდა ქართლის ვაკეზე მდებარეობს. გორიდან ჩრდილოდასავლეთის მიმართულებით 8 კილომეტრითაა დაშორებული. ცნობილი ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „გორიდამ ლიახვის მდინარის სიგრძე არს მაღრან-დვალეთამდე, აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მუგუთამდე; მუგუთიდამ დის სამხრით გორამდე და გორს მცირეთ ქვემოთ მიერთვის მტკვარს ჩრდილოდამ. არამედ არს მდინარე **ლიახვი** სარგებლიანი, მრწყველი ველთა იმიერ და ამიერ ლიახვისათა, ჩქარად მომდინარე და რიყიანი, და ხმოვანი, სასმელად შემრგო და გემოიანი, მარადის ცივი, გარნა ვერ გაჰყინავს ზამთარს სიჩქარისათვის. თევზნი მრავალნი. რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლსათა უმჯობესი, და გემოიანი, და სპეტაკი. გორს ზეით ლიახვს ერთვის გორისავე ჭალისა და ნაჭარმაგევისა წყალნი. **ნაჭარმაგევი** იყო სადგური მეფეთა და კეთილსანადირო, და აწ **კარალეთად** წოდვილი, ადგილი ტურფა, ჭალიან-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველიანი“.[1]

დიდ ლიახვზე „ზემოდან ქვემოთ“ მდებარე სოფლებს შორის, კარალეთს მოიხსენიებს XVIII საუკუნის 70-იანი წლების პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის

BRAMS 2025 Nov
Volume 6, Issue 15
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ექსპედიციის მონაწილე, გერმანელი მოგზაური იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი: „44. კარალეთი, ციხე“.[2]

გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანით თარიღდება კარალეთის ცენტრში, გორაზე მიკვლეული არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც აერთიანებს ბრინჯაოს მძივის ნატეხებს, სარდიონის კასრისებრ მძივებს, შავად და წითლად გამომწვარ, ირიბი შტრიხების სარტყლით შემკულ ლეგაპრიალა ჭურჭლის ნატეხებს, რელიეფური ხაზებითა და წვერებით გადაბმული რომბებით... ნამოსახლარის ტერიტორიაზე ასევე მიაკვლიეს კაჟის ნამგლის ჩასართებსა და კაჟისავე ლამელას.[3] ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მეფეთა სადგურად და კეთილსანადიროდ წოდებული ისტორული ნაჭარმაგევი სოფლის დასავლეთითაა, რაზეც იოსებ მეგრელიძეც მიგვანიშნებს: „ნაჭარმაგევი ან, როგორც ხალხური ეტიმოლოგიით ადგილობრივები ააზრიანებენ და წარმოთქვამენ, **ნაჭარმაგევი** კარალეთის ნაწილს წარმოადგენს და მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს.

ხალხური ეტიმოლოგიის თანახმად, ნაჭარმაგევს ეს სახელი იმიტომ დარქმევია, რომ აქ თამარ მეფეს ამოუვლია ცხენით, რომელსაც ნაჭარმაკი რქმევია. თამარი აქედან ცხინვალს უნდა წასულიყო, მაგრამ აქ მოუკვდა ცხენი ნაჭარმაკი და ადგილს ნაჭარმაკევი დაერქვაო“.[4] მკვლევრის მეორე ვერსიით: „ამ სახელს ზოგი ნაჭარმაგად – ნაშრომ ადგილად ააზრიანებს“.[5] ფოლკლორულ მასალებზე დაყრდნობთ, ვიტალი ქენქაძეც მიგვანიშნებს, რომ თამარ მეფის თეთრ ცხენს ნაჭარმაგევი ერქვა და „გადმოცემით, ყოფილი ნაციხარის ადგილზე, სადაც დღესაც ნაკრავებს ეძახიან, ჭადრის დიდ ხეებთან არის დასაფლავებული თამარის საყვარელი ცხენი“.[6] იგი სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით განმარტავს სიტყვა ჭარმაგის ძველ ქართულ მნიშვნელობასაც – „თეთრზე შავით დაწინწკლული“.[7]

სოფელ კარალეთს სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეპატრონე განაგებდა. დასაზუსტებელია, როდიდან დამკვიდრდნენ აქ ქსნის ერისთავები. ამ მხრივ საყურადღე-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბოა ვ. ქენქაძის დაკვირვება ანდრონიკე მეფის მიერ წითლოსან ქვენიფნეველისადმი ბოძებულ 1348 წლის წყალობის სიგელზე: „ჩვენთვის უცნობია, თუ როდის დაიდეს ბინა კარალეთში ქსნის ერისთავებმა, მაგრამ ერთი ისტორიული საბუთის – სიგელს მიხედვით, XIV საუკუნის 40-იანი წლებისათვის საქართველოს „პროვინციის მეფე“ ანდრონიკე დავით VIII-ს ძე, ცხრაზმის, იგივე ქსნის საერისთავოს წინამძღვარს წითლოსანს, რომელიც 1335-1344 წლებში სრულიად კანონიერად – მემკვიდრის მცირეწლოვანობის გამო, დროებით განაგებდა საერისთავოს, გადასცემს მემკვიდრეობით შიდა ქართლის ტერიტორიაზე სოფლებს: კარბს და გარეჯვარ ბაკურის უბანს. სავარაუდოდ, ამ წყალობის მიღებამდე კარალეთი მოქცეული არ უნდა ყოფილიყო ერისთავების სამფლობელოს სამანებში. თუმცა, მათი საერისთავოს საზღვრები, ალბათ, კარალეთის ნაკარავალზე გადიოდა“.[8]

კონსტანტინე II-ის (1478-1505) მიერ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისადმი ბოძებული სიგელის მიხედვით, XV საუკუნის მეორე ნახევრიდან კარალეთი ფანასკერტელ-ციციშვილებს გადაეცათ.[9] მოგვიანო პერიოდში კარალეთი ხშირად ქცეულა დავის საგნად ქსნის ერისთავებსა და ამილახვრებს შორის. როგორც ჯონდო გვასალია შენიშნავს, ქსნის ერისთავებს XVIII საუკუნის დასაწყისიდან და, შესაძლოა, უფრო ადრეც, კარალეთში ჰქონდათ მამულები და ჰყავდათ ყმები. 1703 წლის ერთი ისტორიული საბუთიდან ჩანს, რომ კარალეთის ჭალა (ნაკოშკარსა და ნეფის წყაროს ზევით) წილად ხვდათ ქსნის ერისთავებს, ქვევით კი – თუმანიშვილებსა და გორელებს.[10]

შანშე ქსნის ერისთავისა და გივი ამილახვარის 1737 წლის გარიგების წიგნის მიხედვით: „ქსანსა, რეხულასა, მეჯუდის წყალზე ნასყიდი მამულები – ორბოძალი, ნაქალაქევი, რაც კარალეთში გივი ამილახორის პაპის ნასყიდი მიწები იყო, უსანეთის მესამედი და სადეკანოზო, ისევ ამილახვრის კაცებს დაუბრუნდათ; ქსანზე ძვიმლეთი გივი ამილახორს მიეკუთვნა, ხოლო ბოლში ახალგო-

BRAMS 2025 Nov
Volume 6, Issue 15
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რელთა ნასყიდი ვენახები ქსნელებს დარჩათ.“[11] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარშიც კარალეთი ამილახვრის ნაჰიეს ექვემდებარება.[12]

1777-1778 წლების მიჯნაზე, როცა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ ქსნის ერისთავის გიორგი ყულაღარასის განდგომის მიზეზით ქსნის სათავადო გააუქმა, ერისთავებს მხოლოდ ქსუისი, ტყვიავი, მარანა, კარალეთი, რეხა, მეჯვრისხევი, სათემო, კუმისი, ნავთლუღი, აგრეთვე, გორსა და ცხინვალში ერისთავთა ქონება დაუტოვა. ერისთავთა დანარჩენი მამულები სახასოდ გამოაცხადა, ქსნის ხეობა გიორგის გადასცა, ლიახვის ხეობა – იულონს.[13]

XVIII საუკუნიდან მოყოლებული, კარალეთი ისევ ქსნის ერისთავების ხელში აღმოჩნდა.[14] 1810-იან წლებში კარალეთში ყმების უმრავლესობა პოლკოვნიკ შანშე ერისთავს ეკუთვნოდა. მის გარდა, აქ ყმები ჰყავდათ შალვა და ბიძინა ერისთავებსაც, რომლებიც ადრე მათ მამას, რევაზს ეკუთვნოდნენ (15კომლი). იყვნენ სხვა მებატონეებიც: ციციშვილები, დავითაშვილები...

1818 წლის რუსული კამერალური აღწერა საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ სოფელში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა. როგორც იოსებ ალიმბარაშვილი წერს: „სოფელი სარგებლობს მდინარე ლიახვიდან გამოყვანილი არხისა და წყაროებიდან, ამიტომ წყალი საკმარისია. მოსახლეობის სარგებლობაში არსებული სახნავი მიწის ფართი 497 დღიურია, დასამუშავებლად გამოუყენებელი და სათიბი – 200 დღიური. ბაღ-ვენახების რაოდენობა 32. ერთი წისქვილი ეკუთვნის პოლკოვნიკ შანშე ერისთავს, ხოლო მეორე – გარდაცვლილი რევაზ ერისთავის შვილებს: შალვასა და ბიძინას. მოსახლეობა სარგებლობს ერისთავების კუთვნილი ტყით ყოველგვარი საზღაურის გარეშე. მოსახლეობა, ძირითადად, მისდევს მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას, მევენახეობას და სხვა საქმიანობას“.[15]

კარალეთი რომ ეკონომიკურად ძლიერი და შემოსავლიანი სოფელი იყო, ნათლად ჩანს მოსახლეობის

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მდგომარეობის შეფასებისას. უმეტესად მნიშნებულია, რომ კომლები ცხოვრობენ კარგად ან, რიგ შემთხვევაში, საშუალოდ. მხოლოდ რამდენიმე კომლთან დაკავშირებით ნათქვამია „მწირი“ შემოსავალი. ესეც იმის გამო, რომ მიწა არა აქვთ, ან არ ამუშავებენ.

გარდა იმისა, რომ მოსახლეობა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე სარგებლობდა ერისთავების კუთვნილი ტყით, მებატონეთა გლეხებისადმი ყურადღება მთელ რიგ სხვა შემთხვევებშიც ჩანს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გლეხებისათვის ნაწყალობევი მიწები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გლეხების გარკვეულ ნაწილს საკუთრებაში აქვს როგორც სახნავი მიწები, ისე – ვენახის ბაღები, საიდანაც კარგ მოსავალს იღებს. მათ არა მარტო თავს რჩენის, არამედ – დანაზოგით მიწის ყიდვის საშუალებაც აქვთ.

მიწათმოქმედებისა და მევენახეობის გარდა, სოფელში სათანადოდ განვითარებული ჩანს მესაქონლეობა. რამდენიმე კომლს ცხენიც კი ჰყავს, რაც იმ დროისთვის ფუფუნების საგნად შეიძლებოდა ჩათვლილიყო. თითქმის ყველა ოჯახს ჰყავს მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და არცთუ მცირე რაოდენობით: ზოგს – 16, ზოგს – 13, ზოგს – 10 და ა.შ. ჰყავთ ცხვარიც (15-25 სულის ოდენობით).

1843 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, კარალეთში ყმებსა და მამულებს ფლობდნენ ბიძინა და გიორგი ქსნის ერისთავები, პოლკოვნიკი შანშე ერისთავი, პოდპოლკოვნიკი თორნიკე ერისთავი და გენერალ-ლეიტენანტი გიორგი ერისთავი. 1843 წლის აღწერაში აღარ ჩანან აზნაური ჩერქეზ ჩერქეზოვი, თავადები: ციცშვილები და დავითაშვილები.

1818 წლიდან 1843 წლამდე კომლებისა და მცხოვრებთა უმრავლესობა უცვლელია. მომდევნო წლებში კი კარალეთის მოსახლეობაში უფრო მკვეთრადაა შესამჩნევი დემოგრაფიული ცვლილებები. 1873 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, კარალეთელი მებატონეები იყვნენ: გრიგორ, ალექსანდრე, ივანე და დავით ერისთავები. სო-

BRAMS 2025 Nov
Volume 6, Issue 15
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ფელ'ში ცხოვრობდა 147 კომლი, ქართველები და სომხები. სულ 492 მამაკაცი და 406 ქალი (898 სული).[16] მოსახლეობის ზრდის ტენდენცია მომდევნო წლებშიც შეიმჩნევა. 1886 წლის აღწერით, კარალეთში 208 კომლი ცხოვრობდა, 670 მამაკაცი და 475 ქალი (1145 სული).[17]

კარალეთიდან მოსახლეობის მიგრაციის მაგალითები იშვიათად გვაქვს. ეს უფრო მთიანი რეგიონებისთვის იყო დამახასიათებელი: როცა გლეხები, სახნავ-სათესი მიწების გამო, იძულებით ტოვებდნენ წინაპართა სამკვიდროს. კარალეთი კი მდიდარი სოფელი იყო, რაც 1884 წლის „დროებაში“ გამოქვეყნებული კარალეთელი ქართველი გლეხის წერილიდანაც ჩანს: „მოგეცა ღვთის წყალობა, მამულიც კარგია და მოსავალიც დავლათიანი იცის. კაცი არ არის, რომ ნახნავ-ნათესი არ ჰქონდეს. აქაურები ბოსტნეულობასაც ძლიერ მისდევენ. უფრო კარტოფილი მოჰყავთ; ბოსტნეულებში ამას უფრო დიდი გასავალი აქვს. მაინც ჩვენი გორი ზედ გვაკრავს და გამორჩენა გვაქვს. რაც ხელიდამ გამოგვივა, ყველაფერს ვყიდით“.[18] ეს მონათხრობი ბევრი რამით არის საყურადღებო. პირველ რიგში, მიუთითებს კარალეთის მიწების სიუხვესა და მოსავლიანობაზე, რასაც ადგილობრივი მკვიდრნი ღვთის წყალობად თვლიან. თუ ზოგ სოფელში გლეხობის გარკვეულ ნაწილს შეიძლება საკმარისი სახნავ-სათესი არ ჰქონოდა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში კარალეთში „კაცი არ არის, რომ სახნავ-სათესი არ ჰქონდეს“. ფართოდ მისდევდნენ ბოსტნეულის მოყვანას. თავისი დიდი გასავლიანობის გამო, განსაკუთრებულ ყურადღებას კარტოფილის მოყვანას უთმობდნენ და, რაც მთავარია, არ უჭირდათ ჭარბი მოსავლის რეალიზება გორთან სიახლოვის წყალობით.

კარალეთის განვითარებას, მის ეკონომიკას, კულტურას, დიდი ამაგი დასდეს აქ მცხოვრებმა ქსნის ხეობელმა მებატონეებმა. სოფლის ამაგდარ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კარალეთის უკანასკნელი მებატონე მიხელ ერისთავი. იგი იყო ვაჟი რევაზ და ნინო ერისთავებისა, რომლებიც გიორგი ყულა-

BRAMS 2025 Nov
Volume 6, Issue 15
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რადასის შტოს მიეკუთვნებოდნენ. მამამისი იყო სწორედ ის რევაზ შალვას ძე ერისთავი, რომლის კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანსაც ილია ჭავჭავაძე გამოეხმაურა თავის პუბლიცისტურ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“,[19] რასაც მოჰყვა 1861 წელს „ცისკარში“ ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის, რევაზ ერისთავისა და გიორგი ბარათაშვილის წერილები: ჟურნალ „ცისკარში“ გამართული „მამათა და შვილთა ბრძოლის“ სახელით ცნობილი დებატები.

1879 წელს რევაზ ერისთავი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი გახდა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. მთავარმართებელ ბარიატინსკის დროს ეწეოდა სამხედრო სამსახურს და დაჯილდოებულია წმინდა გიორგის ჯვრით. „მამა ზამთარ-ზაფხულ სცხოვრობდა თავის მამულში – კარალეთში და იქიდან დაიარებოდა სამსახურში“, იხსენებს მწერლის ქალიშვილი.[20]

კარალეთში, ერისთავების საგვარეულო სასახლეში დაბადებულა რევაზის ვაჟი მიხეილი 1861 (ან 1862) წელს. დაწყებითი განათლება კერძო პანსიონატში მიიღო. სწავლა უმანის აგროტექნიკურ სასწავლებელში გააგრძელა, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ პირველი თანრიგის ატესტატი აიღო. უკრაინიდან სამშობლოში დაბრუნებული, ცდილობდა თავისი ცოდნა და პროფესონალიზმი კარალეთში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გამოეყენებინა. ევროპის სხვადასხვა ქვეყანასთან დამყარებული საქმიანი ურთიერთობები მიხეილს საშუალებას აძლევდა თავის ქვეყანაშიც გამოეყვანა ხეხილისა და ვაზის სხვადასხვა ჯიშები.

„მიხეილ ერისთავი იყო პირველი, რომელმაც გორის მაზრაში ამერიკული ჯიშის ვაზის საძირეთა სადედე შექმნა და სანერგე მეურნეობაც მოაწყო. კარალეთში სუფრის ყურძნის ქართული და უცხოური სახეობები გააშენა და ვაზის ჯიშების მრავალფეროვანი კოლექცია

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

შექმნა. მიხეილ ერისთავმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოში დიდი პომოლოგიური ბაღის შექმნას. თოთხმეტ დესეტინა ფართობზე გააშენა ხეხილის ყველა ინტროდუცირებული ჯიშის სახეობა. ნერგები და სანამყენე მასალა მიხეილს ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან შემოჰქონდა და ამ საშვილიშვილო საქმით ხელს უწყობდა ჩვენში გავრცელებული ხეხილის კულტურათა გამდიდრებას. საკოლექცო ხეხილი წარმოდგენილი იყო ისეთი მრავალჯერა ჯიშებით, როგორიცაა –

ვაშლის: კალვილი თეთრი, კალვილი წითელი, შემოდგომის, კალვილი სააღდგომო, რენტი რუხი ფრანგული, რენტი შამპანური, რენტი ანანასური, პარმენი ზამთრის ოქროსფერი, სარი-სინაპი, კალდილი-სინაპი, როზმარი თეთრი.

მსხლის: ბურე-ბოსკი, მიკადო, დეჰანი ზამთრის, ბერე-ჰარდი, ქართული გულაბი და სხვა.

ბლის: დროგანის ყვითელი, ნაპოლეონი, ქართული შავი.

ქლიავის: რენკლოტი მწვანე, რენკლოტი ალტანის, იტალიური უნგრულა, ჭანჭური და სხვა.

პომოლოგიურ ბაღში ყვაოდა ვარდის, იასამნის, ქრიზანთემის, გეორგინის იშვიათი ჯიშებიც“.[21]

მიხეილმა კარალეთში მოაწყო წყალზე მომუშავე სალეწი მანქანა. ზრუნავდა მეფუტკრეობის განვითარებაზე და ჰყავდა ფუტკარი კარალეთსა და ღვარებში. დარგის განვითარებისათვის კონსულტაციებს იღებდა იმ დროის ცნობილი რუსი მეფუტკრე ტოხომოროვისგან.[22] სოფელში მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარებაზეც ზრუნადა. მიხეილმა კარალეთში შვეიცარული ჯიშის ძროხები მოაშენა; რძეს გორში ამუშავებდნენ. ასევე მოაშენა ტამბოვის საბეკონე ჯიშის ღორები, გაამრავლა ბრინჯაოს ინდაურები, ხოლმოგორული ბატები, სხვადასხვა ჯიშის ქათმები.

მიხეილ ერისთავი იყო „მრავალი სასოფლოსამეურნეო გამოფენის მონაწილე. წარმოდგენილი ექსპონატებისათვის, 1913 წლის 9 მაისს ქალაქ გორში რუსე-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თის საზოგადო-საოჯახო მეურნეობის ორგანიზებულ გამოფენაზე მიიღო ოქროს მედალი ბრინჯაოს ინდაურის წარდგენისათვის“,[23] მოგვითხრობს მიხეილის შვილიშვილი რევაზ მაყაშვილი. მიხეილ ერისთავის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ჭეშმარიტად ახალი ეტაპი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

ძალიან გულმოწყალეც ყოფილა კარალეთის ბატონი. „ისეთი მოწყალე ბატონი გვყავს, აი, სახლები იმისია, გორაზე რომ დგას, რომა შეწუხებული კაცი რომ ნახოს, პირიქით, თავისას დააყრის და მოგცემს. მერე ეხლა რაც ბატონიშვილი მოვიდა სწავლიდამ... აბა, შენ თქვი! ისეთი კართოფილი მოჰყავს რო შენი მოწონებული. რას არა მუშაობს. თავის ხელით ჰყიდის ხოლმე გორის სასწორზე ყველაფერსა. ღმერთო, ისეთი ღვთსნიერი ადამიანია!

ჩვენ მაგის ხელში სულ არა გვიშავს-რა. ისე ტკბილად, ძმურად გვექცევა, ისე ყველაფერი ემეტება ჩვენთვინა, რომ ძმა ძმისთვინ არ გაიმეტებს და მამა შვილისთვინა“.[24] გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული კარალეთელი გლეხის ეს სიტყვებიც მოწმობს, მათი ბატონის გულკეთილობასა და შრომისმოყვარეობაზე. სოფლის მეურნეობის გარდა, მიხეილ ერისთავი საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. მას გუბერნიის მდივნის თანამდებობა ეკავა.

მიხეილს ჰყავდა უაღრესად განათლებული მეუღლე, გენერალ-მაიორ ივანე საგინაშვილის ქალიშვილი ელენე. კარალეთში ერისთავების სასახლეს ამშვენებდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელშიც უხვად იყო როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურა. ელენე მუდმივად აახლებდა და ავსებდა წიგნად ფონდს უცხოეთიდან გამოწერილი ახალი გამოცემებით. თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში მუშაობიისას პირადად გავეცანი 1814 წლს ქსნის საერისთავოს აღწერას, რომელსაც წინა ყდის შიდა მხარეზე მიწერილი აქვს:

ქართლი.

ს. კარალეთი (ნაჭარმაგევი),

მიხეილ ერისთავის წიგნებიდან.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გ. ბოჭორიძე.

1924 წ. დეკემბრის 7-ს.

ერისთავების ბიბლიოთეკით სარგებლობდა მაშინდელი ქართული არისტოკრატია. ელენე მასწავლებლებსაც ევროპიდან იწვევდა შვილების აღსაზრდელად. ერისთავებმა კარალეთსა და გორში ჩამოაყალიბეს კულტურის ახალი ცენტრი, ლიტერატურული კერა. იქ გამართულ სალონურ საღამოებში მონაწილეობდნენ მაშინდელი ქართული ელიტის წარმომადგენლები, მწერლები, მხატვრები, მომღერლები. საგინაშვილის ქალი მუსიკოსი იყო და სალონურ საღამოებზე ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის ნაწარმოებებს ასრულებდა.

ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა კარალეთის ცენტრში გორაკზე აგებული ერისთავების დიდებული სასახლე, რომელზეც მოგვითხრობს ქსნის ერისთავთა საგვარეულო სახლის წარმომადგენელი, ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავი: „დიდი სასახლე იყო კარალეთში, თოთხმეტი დიდი ოთახი, რომელსაც ერტყა გარშემო გალავანი... მაღალი კიბე ასავალი და პერედნია, სადაც დგას დიდი შკაპი დიდძალი ჭურჭლეულით და მინეულობით. დგას დიდი სავარძელი, რომელზედაც მომსვლელნი აწყობენ თავიანთ გახდილ პალტოებს. მერე შეხვალთ დიდ ზალაში, სადაც თავსა და ბოლოს ფეჩებია, ფანჯრებთან სტოლები და სარკეები, მაგიდაზე ვერცხლის კანდელაპრები და იქავ ყანწები დიდი ვერცხლში შეჭედილი ჯაჭვებით შემკული ვარაყიანი. ზედ აწერია, რომ სოლომონ მეორის ნაქონია. თავით და ბოლოს დიდი ქართული ტახტები ხალიჩებით მორთული. შუაში დიდი სტოლი, დიდი შუშაბანდი, სადაც დილდილობით ყმაწვილები ვსვავთ ჩაის. თვალსაჩინოდაა მორთული სასტუმრო ოთახიც, სადაც ჰკიდია მშვენიერი სურათი დიდი თამარისა, მეორე კედელზე უკვდავი რუსთაველის სურათი. ზემოთ ხატები ასვენია 2 ფანჯარასთან. კანკელი, სადაც ანთია მუდამ სანთელი. იქვეა დიდი, მშვენიერი ღვთაების ხატი ანასტასია ბატონიშვლისაგან პეტერბურგიდან გამოგზავნილი, აგრეთვე ნაწილები

BRAMS 2025 Nov
Volume 6, Issue 15
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ვერცხლის ბუდეში და ხავერდში ჩასმული, რომელიც ნაკერია თვალმარგალტით“.[25] ელისაბედის მოგონება საუკეთესოდ ახასიათებს ერისთავების სასახლესაც და წარმოგვიჩენს კარალეთის ეთნოგრაფიულ ყოფასაც. სასახლე იყო ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა.

იმის თაობაზე, რომ მიხეილი და მისი ქველმოქმედი, კულტურული ოჯახი დიდი სიყვარულით სარგებლობდა კარალეთელ გლეხებში, საყურადღებო ცნობა შემოგვინახა 1905 წლის „ცნობის ფურცელმაც“: „23 მარტს შუა სოფელში ცეცხლი გაჩნდა. მაშინვე ასტყდა განუწყვეტელი ზარის რეკვა. ხალხის წივილ-კივლი, ბღავლი და ყეფა ოთხფეხთა. მომეტებული ნაწილი ხალხისა ბეგარაზე იმყოფებოდა. დანარჩენი ბაღ-ვენახებს იყო მოდებული. საბედნიეროდ, მშველელად მოევლინა სოფელს თავადი მ. რ. ერისთავი, რომელიც სასწრაფოდ მიიჭრა თავის მოსამსახურეებით. მამასახლისი ილია ბუხრაძე გაშმაგებთ ებრძოდა ცეცხლს. თორმეტი კომლი ამოიბუგნენ თავიანთი სარჩო-საბადებლით, რომელთაც თავადმა მ. რ. ერისთავმა, სხვა დახმარების გარდა, აღმოუჩინა შემწეობა ჭირნახულით. თქვენი მტერი, რომ ერისთავი და მამასახლისი არ შესწრებოდნენ იმ განწირულებს“.[26]

ამაგდარ ერისთავებს სიკეთის დაუნახავიც ბევრი ჰყავდათ. XX საუკუნის დასაწყისში მძიმე დღეების გადატანა მოუხდა სოფელს ქართლში გაჩაღებული რევოლუციური მოძრაობის გამო. კარალეთი მოვლენების ეპიცენტრში მოექცა. 1902 წელს გლეხები ერისთავს საძოვრების გამო დაუპირისპირდნენ. გორის მაზრის უფროსმა მეამბოხე გლეხები დააპატიმრა. მოგვიანებით ისინი რუსეთში გადაასახლეს. სამი წლის შემდეგ ქართლელი გლეხების კიდევ ერთი გამოსვლა მოეწყო მებატონეთა წინააღმდეგ. „1905 წლის 7 მარტს, 12 საათზე სოფლის კანცელარიასთან თავი მოიყარა მეზობელი სოფლების: ხელთუბნის, თორტიზის, დიდი და პატარა გარეჯვრების მოსახლეობამ. მათ ხელთუბნელების თაოსნობით მოაწყვეს მსვლელობა წითელი დროშებით,

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დაარბიეს და დაანგრიეს კანცელარიის შენობა. 13 მარტს სოფლის ცენტრში კვლავ ათასამდე კაცმა მოიყარა თავი. შეკრებაზე გლეხებმა მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები წარმოთქვეს. თავად ერისთავისგან მოითხოვეს ნაცვლის გადასახადისგან გათავისუფლება, ტყითა და საბალახოთი სარგებლობის უფლება, მღვდლისა და სოფლის მოხელეთა თვითნებობის ალაგმვა. მიტინგი მღელვარებაში გადაიზარდა. ამბოხებულებმა დაანგრიეს სამრევლო სკოლა, ჩამოხსნეს ეკლესიის ზარი. საღამოს ეკლესიის ეზოში შეკრებილებმა დასახეს ბრძოლის გეგმა. 1905 წლის 20 მარტს თავად ერისთავის სახლს (ახლა ამ ადგილზე სოფლის კლუბის შენობაა) ალყა შემოარტყა 600-მდე კაცმა. მათ გასაფანტავად გაიგზავნა პოლიცია. თავადმა დემონსტრაციის ხელმძღვანელთა გადასახლება მოითხოვა. მთავრობამ იმავე წლის სექტემბერში სოფელში კაზაკების რაზმი ჩააყენა, რამაც დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა სოფლის მოსახლეობას“.[27]

გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში მუშაობისას მოვიძიე ორი ფრიად საყურადღებო ცნობა, რომელიც ქალბატონ როზა ადუაშვილს კარალეთში ჩაუწერია. მთხრობელი ძველი რევოლუციონერი არტემ სუხიტაშვილია. საბჭოთა პეროდში ასეთი ხალხის მონაყოლს სხვა ფასი ჰქონდა:

„მნიშვნელოვანია რევოლუციური აღმავლობა სოფელ კარალეთში. წითელრაზმელების დევნაში ერისთავს ეხმარებოდა თავისი მოურავი სისაური, რომელიც ეროვნებით ოსი იყო. მოსახლეობას იგი არ უყვარდა, რადგან დაუნდობლად ექცეოდა მათ. ხალხს ძარცვავდა, თავად კი მდიდრულად ცხოვრობდა.

წითელრაზმელებმა კარგო ჩუხრუკიძემ, არტემ სუხიტაშვილმა და ვასო გურგენაშვილმა გადაწყვიტეს სისაურის მკვლელობა, რომელიც მოწინავე ადამიანებს აბეზღებდა. გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა კარგო ჩუხრუკიძემ. მიხეილ ერისთავმა თბილისიდან გამოითხოვა დამსჯელი რაზმი. მათ მთელი მოსახლეობა

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გარეთ გამოიყვანეს, ერთად შეაგროვეს, შემდეგ ალყა შემოარტყეს და მოითხოვდნენ მკვლელის დასახელებას. აქ იკვეთება სოფლის მოსახლეობის ერთსულოვნება და სულისკვეთება, როდესაც მკვლელის ვინაობა ყველამ იცოდა, მაგრამ არავინ დაასახელა, თუ ვინ მოკლა სისა-ური. დამსჯელმა რაზმმა სოფლის მოსახლეობა მდინარე ფშანში ჩააყენა ზამთარში, იანვარში და დაჟინებით მოითხოვდნენ მკვლელის დასახელებას. მოსახლეობამ სიცივეს ვერ გაუძლო, ზოგი ავად გახდა და მოკვდა. მიუხედავად ამისა, მკვლელი მაინც არ დაასახელეს.

ხალხი თავს იკავებდა, რევოლუცია კი უკვე მოახლოებული იყო. სწორედ ასეთი გმირობა გამოიჩინა კარალეთის მოსახლეობამ, დაფარეს წითელრაზმელები, რადგან ისინი თავისუფლებისთვის იბრძოდნენ“.[28]

„1905 წელს რევოლუციის დამარცხების შემდეგ გაძლიერდნენ რევოლუციური ძალები. წითელრაზმელები განიცდიდნენ სასტიკ დევნას. ისინი, მიუხედავად ამისა, მაინც გაბედულად მოქმედებდნენ. ფარულად მოწინავე იდეებს ავრცელებდნენ სოფლის მოსახლეობაში, ასწავ-ლიდნენ ბრძოლის ხერხებს, თავის დახსნის საშუალე-ბებს. უხუცესი კომუნისტი არტემ სუხიტაშვილი მოგ-ვითხრობს, რომ სოფელ კარალეთის მოსახლეობა ძალიან ცუდად ცხოვრობდა. არ ჰქონდათ წესიერი ბინები, ცხოვრობდნენ ალიზის ბინიან სახლებში, რომელიც ჩადგმული იყო მიწაში. მამაკაცებს ღვინის დალევის უფლება არ ჰქონდათ. თუ მებატონე გლეხს ჯოხს და-არტყამდა და ჯოხი გაუტყდებოდა, გლეხს ფული უნდა გადაეხადა ჯოხის საფასურად.

ხალხი ღელავდა, ვერ ურიგდებოდა უსამართლობას. ადგილობრივი მებატონეები დამსჯელი რაზმებით აკა-ვებდნენ გლეხებს.

მებატონე ერისთავებმა მეფის რუსეთს მოსთხოვეს 60 ყაზახი. ისინი შედიოდნენ სახლებში, აირჩევდნენ ცხვრებს, ძროხებს, ქათმებს და პროდუქტებს. მებატონე გლეხების დასამორჩილებლად იყენებდა მოურავებს.

BRAMS 2025 Nov
Volume 6, Issue 15
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ერისთავს მოურავად ჰყავდა ჯერ სანდრო ბიბილაშვილი, შემდეგ კი გიო ბიბილაშვილი.

გიო ბიბილაშვილმა ერისთავს პირობა მისცა, რომ გადასახადს თვითონ აკრეფდა, ოღონდ, თუ 10 კოდი პურიდან 1 კოდს მას მისცემდნენ, 100 მანეთიდან 10 მანეთი იმისი იქნებოდა.

ერთხელ გიო ბიბილაშვილი, სოფლის მამასახლისი, გზირი და მზიდავი ათ ყაზახთან ერთად წავიდნენ სოფლის ღალის ასაკრეფად. ისინი ყველაფერს იტაცებდნენ, რაც კი მოხვდებოდათ. დარბევის დროს მათ წინააღმდეგობა გაუწია საქია ბუდედაშვილმა, სთხოვა, დაეცადათ და ნაწილს მერე მსცემდა. გიომ კი გინება დაუწყო. საქიამ ვეღარ ატანა შეურაცხყოფა და დანით მოკლა მოურავი.

ყაზახებმა ვერ გაიგეს მოკვლის მიზეზი, საქია კი გაიქცა და დაიმალა, ცოტა ხნის შემდეგ კი თავად განაცხადა.

სოფლის მოწინავე ადამიანებად ითვლებოდნენ იაკობ პაპუკიშვილი, არტემ სუხიტაშვლი, გოჩა ხარიბეგაშვილი. ისნი გამუდმებით ებრძოდნენ ადგილობრივ თავადების მოქმედებებს“.[29]

არტემ სუხიტაშვილის მონათხრობი იდეოლოგიური გამართლება იყო ქართველ თავად-აზნაურობაზე თავდასხმების, მკვლელობების, დევნის, ქონების მიტაცების, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლშევიკთა აღზევების დროს. როგორ შეიძლება დავიჯეროთ, რომ „თუ მებატონე გლეხს ჯოხს დაარტყავდა და ჯოხი გაუტყდებოდა, გლეხს ფული უნდა გადაეხადა ჯოხის საფასურად“, როცა XIX-XX საუკუნეების პრესის ფურცლებიდან კარგად ჩანს, როგორ ეხმარებოდა თავის გლეხებს კარალეთის უკანასკნელი მებატონე.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მიხეილი გრძნობდა, რომ მას და მის ოჯახს კარგს არაფერს უქადდა წითელრაზმელთა თარეში. მართალია, გლეხები გვერდით ედგნენ, როგორც შეეძლოთ, იცავდნენ, მაგრამ ბოლოს ერისთავი იძულებული გახდა, კარალეთიდან წასულიყო.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მან ოძისში ძმის – შალვას ოჯახს შეაფარა თავი. ფეხდაფეს მიჰყვნენ სისხლმოწყურებული ჯალათები და ოძისიდან საქმის გასარჩევად თავისივე ეტლით უკან დააბრუნეს. მიხეილს ოცი წლის ვაჟიც თან გაჰყვა, ბაბუის სეხნია რევაზი, აგრონომიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი. კოდისწყაროს მახლობლად ვერაგულად მოკლეს მამა-შვილი. „საცოდავი ბატონი შეხვეწნია რაზმელებს, ოღონდ ჩემი შვილის სიკვდილს ნუ მაყურებინებთ, ჯერ მე მომკალითო... ძალზე გულსატკენია ის ფაქტი, რომ მამას ძალით აყურებინეს შვილის წამება და სიკვდილი, შემდეგ მასაც ტყვიით გაუხვრიტეს შუბლი“.[30]

მძიმე ხვედრი ერგოთ ერისთავების მკვლელებს – ბაზანდარაშვილს, ტერტერაშვილსა და ხარბეგაშვილს: „ბაზანდარაშვილს, როგორც გვითხრეს, სხვენზე შემოდებულ თავისსავე ბავშვობის დროინდელ აკვანზე ჩამობმულ თოკით თავი ჩამოუხრჩვია. ტერტერაშვილმა იმ უბედურებიდან კარგა ხანს იცოცხლა. ჯერ გააციმბირეს, მოგვიანებით კი, კლინიკური სიკვდილის შემდეგ, შეშლილი ქუჩა-ქუჩა ხეტიალში უპატრონოდ გარდაიცვალა... ხარბეგაშვილი ბერუკა კი, რომელიც ძალზე აგრესიული და დაუნდობელი კაცი ყოფილა, კომუნისტებს თავსი რიგების წმენდისას დაუხვრეტიათ“.[31]

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ელენე საგინაშვილი ქალიშვილებთან: ეკატერინე, ნინო და რუსუდან ერისთავებთან ერთად თბილისში გადასახლდა, დის – ბარბარე საგინაშვილ-მაყაშვილის ოჯახში, რომელიც წყნეთის (დღევანდელი მელიქიშვილის) ქუჩაზე ცხოვრობდა. ელენე კინოთეატრში მუსიკალურ თანხლებას უკეთებდა მუნჯი ფილმების ჩვენებას. მგლოვიარე მეუღლე და დედა ცდილობდა ტკივილი არ შეემჩნია, თუმცა, ვალერიან გაფრინდაშვილის მოგონებით, მას კოჯრის გზაზე შემთხვევით უნახავს თავისთვის, ყველასგან მალულად, ტირილით გულმოოხებული თავადის ქვრივი.

ამბობენ, ერისთავების უფროს ქალიშვილს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ ეკატერინე ერისთავს მი-

BRAMS 2025 Nov ISSN 2667-9299 (print)
Volume 6, Issue 15 ISSN 2960-9348 (online)

უძღვნაო გალაკტიონმა გენიალური ლექსი „გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები...“

1938 წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ერისთავების უმცროსმა ქალიშვილმა რუსუდანმა. როგორც ჩანს, მისმა ფაქიზმა სულმა ვერ გაუძლო რეპრესიების მძიმე პერიოდს. იგი პროფესიით არქიტექტორ-მხატვარი ყოფილა და გიორგი ჩუბინიშვილთან უმუშავია ძეგლების აღდგენაზე. ოჯახის წევრებმა ვერ გაუძლეს რეპრესიების წნეხს და ნახატები გაანადგურეს. თუმცა, მაყაშვილების ოჯახს დღემდე მაინც შემოუნახავს რუსუდანის ორი ნამუშევარი.[32]

კარალეთელი ერისთავების ბრწყინვალე სასახლე დღეს იავარქმნილი და გაპარტახებულია. მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე იქნებოდა მისი აღდგენა, მოვლა-პატრონობა და მიხეილ ერისთავის სახელის უკვდავყოფა.

ლიტერატურა ▫ References

1. ბატონიშვილი ვახუშტი (1973). აღწერა სამეფოსი საქართველოსა: ქართლის ცხოვრება, ტომი IV. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, გვ. 368-369.
2. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში: ტომი პირველი (1962). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, გვ. 279. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/326792/5/Giuldenshtedtis_Mogzauroba_Saqartveloshi_Tomi_I%20%28Gateqstebuli%29.pdf
3. მუსხელიშვილი დავით, ცქიტიშვილი გიორგი (1960). შიდა ქართლის 1955 წლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები, გვ. 185-196, იხ.: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული I, რედაქტორი ნიკო ბერძენიშვილი, თბილისი:

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, გვ. 192-193; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა: წიგნი V (1990). გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ხაშურის რაიონები. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა.
4. მეგრელიძე იოსებ (1984). სიძველეები ლიახვის ხეობაში. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, გვ. 33.
5. იქვე.
6. ქენქაძე ვიტალი (2016). ქსნის ერისთავების საქართველო. თბილისი: „არტანუჯი“, გვ. 264. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/179497/1/Qsnis_Eristavebis_Saqartvelo.pdf
7. იქვე.
8. იქვე.
9. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სეაცსა), ფონდი 1448, აღწერა 1, საქმე 64. https://archive.gov.ge; გვრიტიშვილი დავით (1955). ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები). თბილისი: „სახელგამი“, გვ. 121. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/343729/5/Feodaluri_Saqartvelos_Socialuri_Urtiertobis_Istoriidan_1955_Gateqstebuli.pdf
10. გვასალია ჯონდო (1983). აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი). თბილისი: „მეცნიერება“, გვ. 76.
11. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი (ქხი), ფონდი Hd, საბუთი 2146; გვასალია ჯონდო (1983). აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი). თბილისი: „მეცნიერება“, გვ. 73.
12. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი: წიგნი I (2009). ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბილისი: „ჰოროსი XXI“, გვ. 387-388.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

13. ახლოური დავით (2021). ქსნის ხეობის ისტორია, ტომი II. თბილისი: „საარი“, გვ. 20-21.
14. გვასალია ჯონდო (1983). აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი). თბილისი: „მეცნიერება“, გვ. 76.
15. ალიმბარაშვილი იოსებ (2021). შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით. გორი: გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 363.
16. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სეაცსა), ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 249. https://archive.gov.ge
17. Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Душетский уьезд, Ксанский участок (1893). Тифлис, стр. 47.
18. გაზეთი „დროება“ (1884), №184, გვ. 3.
19. ჭავჭავაძე ილია (1991). თხზულებანი. ტომი V – კრიტიკა. მთავარი რედაქტორი გიორგი ციციშვილი, ტომის რედაქტორი გიორგი აბაშიძე. თბილისი: „მეცნიერება“. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/12247/1/Txzulebani_T_V.pdf
20. ქენქაძე ვიტალი (2016). ქსნის ერისთავების საქართველო. თბილისი: „არტანუჯი“, გვ. 287.
21. აბჟანდაძე ირინა, შაფათავა მაკა (2012). თხევადი მზის ქვეყანა. Land of the Liquid Sun (ფოტოალბომი). თბილისი: გოეთეს ინსტიტუტის გამოცემა.
22. მეფუტკრეობა რომ კარალეთში ოდითგანვე იყო განვითარებული, ეს თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრიდანაც ჩანს. იხ.: 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი: წიგნი I (2009). თბილისი: „ჰოროსი XXI“.
23. მაყაშვილი რ. (1998). მამა-შვილ ერისთავების ტრაგედია. გაზეთი „ახალი საქართველო“, აგვისტო-სექტემბერი-ოქტომბერი.
24. გაზეთი „დროება“ (1884), №184, ტფილისი.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

25. ქენქაძე ვიტალი (2016). ქსნის ერისთავების საქართველო. თბილისი: „არტანუჯი“, გვ. 265.
26. გაზეთი „ცნობის ფურცელი (1905), №2772, ტფილისი.
27. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა: წიგნი V (1990). გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ხაშურის რაიონები. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, გვ. 73. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/454260/1/SaqartvelosIstoriisaDaKulturisDzegltaAghweriloba_1990_Wigni_V.pdf
28. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), საბ. №8699/3.
29. იქვე.
30. ქენქაძე ვიტალი (2016). ქსნის ერისთავების საქართველო. თბილისი: „არტანუჯი“, გვ. 295.
31. იქვე, გვ. 296.
32. იქვე, გვ. 297.
33. გვრიტიშვილი დავით (1955). ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები). თბილისი: „სახელგამი“.
34. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), გორის მაზრის მოსახლეობის 1818 წლის აღწერა, შემოსული 1956 წელს, №7486.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)